ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7126212

ნომერი: AR11043888

თარიღი : 25.06.2024

გაცემის თარიღი : 12.07.2024

გაცნობის თარიღი : 12.07.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნუგზარ აფხაიძის ქუჩა, N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სულხან სულხანიშვილი პ/ნ 01012012952
- თბილისი ავთო ვარაზის ქ. 64 C ბლოკი ბინა 1

ნომენკლატურა :

- საწყობი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: #112
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 19.03.2021

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სანეურნეო და საწარმოო ობიექტი -საწყობი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: სულხან სულხანიშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "გრინ დეველოპმენტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204452412
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზურაბ წვერიკმაზაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01011004814

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 5170.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 5392.4
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 4556.5
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1182.4
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 3324.5
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 49.6
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 17254.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 8838.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 8416.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 15.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 9.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 6.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ1- 1315.1/5170=0.3
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ2- 4986.5/5170=1.0
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ3- 2574.2/5170=0.5

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 25/06/2024 წლის #AR11043888 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #72.16.33.040 მიწის ნაკვეთზე საწყობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემას.

პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 3 (სზ–3)–ში, წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი პზ-ში) არსებულ/დაგეგმილ კომერციული გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს შერეული ტიპის საცხოვრებელი სახლები. დასაშვებია ამ წესების დანართ 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები; ამასთან, წარმოდგენილი საპროექტო ობიექტი, როგორც მოცულობითი თვალსაზრისით, ისე განაშენიანების რეგულირების გეგმით, არ შეესაბამება განსაზღვრულ ფუნქციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ვერ დააკმაყოფილებს თქვენს 25/06/2024 წლის #AR11043888 განცხადებას, რომლითაც ითხოვთ საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #72.16.33.040 მიწის ნაკვეთზე საწყობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას, რადგან აღნიშნულ ზონაში მოქმედი კანონმდებლობა საწყობის მშენებლობას არ ითვალისწინებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.